

სამართლებლოვ, უნე ვინე მოგხეა უვილი დანსაკარგევი

ქვეყნა

№8 (223)

აბრილ-მაისი,

2012 წელი

გამოდის

2002 წლის დეკემბრიდან

Ελλάδα

საბარქნეთის ქართული დიასპორის გაზეთი

ანგუო, უოგილი წარსულისგან, არის გეოგელი გეგავალისა



ათენის
ქართულმა
დიასპორამ
სამართებლოს
დამოუკიდებლობისა
და დედენის
დღესასწაულები
აღნიშნა



გორენა
უენგელიას
ასალი ნიგნი
„მარტოსულები“



მოსწავლავებთან
მსიარული და
მომღიმარი
უევილოდი

„გეგოგროგის უასგივალი“



გაზაფსულის
მეგორქანებას
გილოგავთი,
ქართუვლებო!



გავრით არის
გული
ამოვსებული...

გაზეთი „ქვეყნა“ იგეგქვება
სრულიად სამართებლოს ქათოლიქოს-გეგბრიარქის,
უენიღენისა და უენებარქის
ილია გეგორის ლოგხეა-ქურთხეით

შორენა შენგელიას ახალი ნიბნი „მარტოსულები“

შორენა შენგელიას კარგად იცნობს საბერძნეთის ქართული დიასპორა. იგი აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „ელაბასთან“, მისი პუბლიცისტური წერილები გამოიჩინევა თემის სიმწვავეით, თანამედროვეობით, პოეზია კი სამოთხის დარ სოხუმს, აფხაზეთს, სიყვარულს, ნოსტალგიას ეუქნება.

შორენამ II წლის წინ, მეგობრებთან ერთად დააფუძნა ქართულ-ბერძნული ასოციაცია „დიოსკურა“ (მშვიდობიანი დიპლომის აფხაზეთი). იგი ბუნებით კეთილშობილად ხასიათით მტკიცე და მიზანდასახული ადამიანად, ძალზე აქტიური და ერთუხიანებით სავსე.

ორი წლის წინ ქალაქ თბილისის მერიამ შორენა შენგელია დააჯილდოვა მედლით „ქართული კულტურის დესპანა“. ახლახან კი გამოცემულია „მერანმა“ გამოცემა მისი ახალი წიგნი „მარტოსულები“. პირველი წიგნი „აფიქრები და რეალობა“ აფხაზეთის ტკივილს ავბეღითი დღეების ტრაგედიას და აფხაზეთის დობრეების მისეულ ვერსიებს მოიცავს.

„მარტოსულებს“ ფაშე ცნობილი ბერძენი მხატვრის თეოდორ რაღის სურათია: ხატის მხანდლებული ქალი ემთხვევა სასოებით... ამ სურათის ავტორი იმ კეთილშობილი მანდილოსნის ელენე ილიასკუს ბაბუა იყო, რომლის



ოჯახშიც ათი წელი გაატარა შორენამ საოცარი სიბოროთი და სიყვარულით.

ჩემი მშობლების მზრუნველობის შემდეგ, რაც ჩემს ბავშვობას არ გასცდენია მშობლების მძიმე აკადმიოფობის და გარდაცვალების გამო, ქვეყანაში გამეფებულმა უსამართლობამ და სიღუფურემ შეაწირა ჩემი და ბევრი ჩემნაირის ბედნიერება და მომხდლა მარტოს ცხოვრების სიმძიმის ზილა. უამრავი ადამიანის პატივისცემა სიყვარული და თანადგომა რაც არასდროს შეკლდა ალბათ იმის მიზეზიც იყო, რომ მარტოობა არასდროს მამხინებდა პირიქით, მიორეველა ბევრ რამეს მასწავლიდა ბრძოლისუნარიანს მხდიდა მაგრამ, ამავე დროს ვიყავი სულ რაღაცით შეუქსებელი და ფრთხილი

რადგანაც არასდროს შევლია შეგარველი. არასდროს შევლია ფრთხილად არც ჩემი და არც სხვისა რომელსაც თავს შევფარებდო თუნდაც დროებით „კადარში“. მაგრამ ესეც არ მადონებდა ყოველთვის უფლის მადლიერი ვიყავი. როგორი ძლიერიც არ უნდა იყო, მარტოსულობა ამ ცხოვრების ყველაზე მძიმე სატარებელი განაჩენია. სწორედ ამ სიმძიმის ტარებაში დამეხმარა საბერძნეთში ორი საუკეთესო ოჯახი კონსტანტინე ილიასკუს და სტეფანე პანტელაკის. ეს ოჯახები საბერძნეთში თავიანთი გაათლებით, ინტელექტითა და ადამიანობით დიდი პატივისცემით მოიხსენიება. მათი დახმარებით და თანადგომით შექმნილი ჩემი მენტალიტეტისა და აღზრდისთვის ამდენად მიუღებელ ამპლუაში ასე შედარებით კარგად ყოფნა. ამ ჩემთვის აბსოლუტურად უცხო ოჯახების ბედნიერებით ვიცხოვრე ჩემი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები. რა თქმა უნდა ვაპირებდა ბედნიერიც ყოფილიყავა რადგანაც მიუღია არსებით ვერწყმობილი მათ. დემეტოსის საჩუქრად მიმანხნა ის რომ მახვედრებდა ადამიანებს რომელთა გულით შევყარება ამ უცხო ქვეყანაში შესაძლებელი იყო. მათგან წამოსული სიბოროტი კი ჩემი სიყვარულის პასუხი იყო, რომელსაც უზოდ ვაკვებდა. ასე ვილაშქრებდი და ვაპირებდი ყოფას ჩემი ცხოვრების ამ გაუფრთხილებელ პერიოდში.

ადამიანი ადამიანია მისი ადამიანური უპირატესობებით და ნაკლავანებებით, ცხოვრებამ მომცა საშუალება შემედარებინა ერთმანეთს ბევრი რამე, მაგალითად, კომუნისტური წყობის

ქალს მძიმე ტვირთი მოჰქონდა. მამაკაცი დაღლილი ჩანდა, ორივენი თავ-ჩაქინდრული მიდიოდნენ დარდითა და ჯავრით სავსენი. კაცს თვალი ტვირთისკენ გაექცა, ისიც ხომ მთელი დღე, მტკვერში და ჭუჭყეში სიმძიმეებს ათრევდა.

ტვირთს გაყოლებული თვალი უცებ ქალის დაღლილ, სევდიან, მაგრამ გონიერ სახეს მოხვდა, მზერა როგორც არა მამაკაცის არამედ სიბრალულისა და თანაგრძობისა, ეს ტვირთი ხომ ძლიერ მკლავს საჭიროებდა.

მამაკაცი ქალს წამოეწია და დახმარება შესთავაზა. მიუხედავად ქალის სახსე და ძლიერი სხეულისა, თანადგომის და დახმარების აუცილებლობა ნამდვილად დიდი ჰქონდა. ქალს გაუხარდა ღონიერი მკლავის დახმარება, სევდიან თვალებში სიხარულის სხივმა გაუელვა, თითქოს შეიღვიძა წუთიერად და მიაწოდა ტვირთი. მის ტუჩებზე ლიბილი დასთამაშებდა. მამაკაცისთვის არც შეუხედავს შერცხვა იმ სიხარულისა, რომელიც, მართალია, ტუჩებმა გასცეს მაგრამ თვალებით მაინც მალავდა და დაბლა ხრიდა. ქალი ცდილობდა ამ ქალური სიკეკლუცით არ გამოეწვია მამაკაცში ინტერესი, არ უნდოდა გონიერად, მაგრამ ქვეცნობიერად სხეულს სულს ქალს უნდოდა. ამ დროს გონება სხეულს ებრძოდა, სხეულს თითოეული ნაწილი უამრავ ხილულ და უხილავ ტალღას გამოსცემდა, რომელსაც ლოგიკა უკვე მთლიანად ვერ იმორჩილებდა, ხან სად გამოეპარებოდა და

პერიოდში აღზრდილი თაობები დღეს ევროპაში აღზრდილ თაობებს. მომეცა ბევრი ფიქრის საშუალება წარსულზე, აწმყოზე. ასე გამოვიტანე ჩემი აზრები რომელიც სისტემატურად იცვლება ზუსტდება ისევე, როგორც ცხოვრება აზროვნება წარმოადგენს. ამ ჩემი დიდი გამოცდილებიდან ერთ რამეს კი ნამდვილად მიჭებოდა - დემოკრატის მიერ ამ დამახად მორთულ-მოხატულ ლამაზ სიცოცხლეს ისე დაეტვირთავით და გავლევთ ხოლმე მძიმე ყოველდღიურობით, რომ უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ, არადა რა ცოტა ვკვირდება ადამიანებს სულმოკლეები რომ არ ვიყოთ."

ახალ წიგნში შორენა შენგელია მრავალმხრივ ავტორად გვევლინება: პროზა პოეზია პუბლიცისტიკა. სამშობლოდან შორს იძულებით გადახვეწილი ქალის განცდების ტკივილის იმედოანი ფიქრებს მომცველი „მარტოსულები“, ავტორის გონიერული თხრობის სისადავით და სიწრფელით იზიდავს მკითხველს და ჩააფიქრებს კიდევ.

„სამშობლო... განსხვავებულად გვიყვარს სამშობლო, რომელიც წავგართვეს და სიცოცხლე თითქმის გაუსაძლისი გაგვიხადეს პოლიტიკური კატაკლიზმებით დატვირთულ ამ ურთულეს ეპოქაში, რასაც შეეწირა ჩვენი კეთილდღეობაც და სიცოცხლე არსებობად გვექცა“, - წერს ავტორი და ტკივილით დასძენს: „სახლვარგართ მომუშავე ქალების ბედი მაინც განსაკუთრებით მძიმეა. მათი სიცოცხლე კარადის უჯრაში სათუთად შენახულ ნივთს მავონებს, რომელიც თითქოს მოგონებებისთვის შემოუნახავთ..."

ხან სად გამოუძვებოდა ამ თითქოს გონიერ ქალს მომზივლელი სიყვარულის სურვილი, ნაპერწკლები, რომელიც კაცს შეაღვიძებდა, თვალს მოჭრისა, აავსებს და უძღვევლად აქცევს ხოლმე.

კაცს რომელიც სულ ეძებს თავისუფლად სასიყვარულო თავგადასავლებს და მისგან მონიჭებულ სიხარულს, ქალისგან განსხვავებით, არ გაურბის ამას და მიუხედავად

ტკივილიც უფრო მსუბუქი. თანადგომა თანაგრძობა ყველაზე დიდი და ძვირფასი საჩუქარია ადამიანისთვის, რომელიც ყველას ერთნაირად არ შეუძლია, ამ დიდ უნარს ალბათ დემოკრატის თითოეულს რაც ბედნიერების საწყისი არის ქალისთვისაც და კაცისთვისაც ერთნაირად.

ძლიერმა მკლავმა ტვირთი ზიდა, რომელიც უკვე ორივეს მსუბუქად ეჩვენებოდა, სწორედ ამ ტვირთმა შეძლო დაღლილ-დაქანცულ ქალშიც - ქალის და მამაკაცშიც - კაცის გაღვივება.

ორივეს ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ, ორივე მარტოსული იყო, რომელთაც არაფერი ათობდა, არაფერი ართობდა და ის ლამაზი, მჩქეფარე სიცოცხლე არსებობად ექცათ, რომელიც იმ არსებობაზე უკეთესი მაინც იყო, რომელსაც გამოექცნებდა თითქოს თავი დააღწიეს. ისინი ორივენი ერთნაირად თანახმა იყვნენ ეარსებათ, ემუშავათ, მათი ასე წვალებით ნაშოვნე ფული ეგზავნათ და თავისუფლები ყოფილიყვნენ, თუნდაც ისე, როგორც არიან, სხვა პრეტენზია არც ქალს ჰქონდა და არც მამაკაცს.

შორენა შენგელია მარტოსულები

ნაწიყვები მოთხრობიდან

ამისა, მაინც ძნელად ახერხებს ნამდვილად განცილები სიხარულის და სითბოს პოვნას, რომელიც ისე ძალიან სჭირდება, თუ ქალისგან გამოსულმა მუხტმა არ გამოიწვია ეს სიხარული, მისგან გამოსხივებულმა სხივმა არ აღაფრთოვანა კაცი სურვილს დიდი დღე არ უწერია. არადა თუ გულმა გული იცნო და სულის სიმებს ერთნაირად ჩამოჰკრეს ხელა, სიცოცხლაც უფრო ლამაზი ხდება და

შორენა შენგელიას ლექსები


გამომცა

რა ძნელ გამოცდას გვიწყობს ცხოვრება, როგორ ცდის მუდამ გაძლებას ჩვენსას, მაგრამ ჯავრისგან სასოწარკვეთილთ ისევ გვასწავლის თავის დაღწევას.

შეუღარებელს სამშობლოს ჩემსას, დღეს მჩვიანს, მტკივიანს და მტირალს ეხედავ, სისხლის წვეთები ნაჭრილობებს სდიან და სდიან; მაგრამ ჯიშს მისას გაუტეხავს და

კაცთმოყვარეს, მჯერა მომავლის აღზევება რომ უწერია. ვერ გიფრთხილდებით, შვილნი შენნი, ზურმუხტის დარო, ვინ სად გაგექცა, ვინ ნაიარეს დღესაც გიდრმავებს, შენ კი მორჩილად, უპასუხოდ, შევილთაგან შენთა, ერევი ჩუმიად დარდს ჯავრს და ტკივილს შენსას, მუდამ ლამაზო, ყოვლისშემძლევ და საამაყოვ სამშობლოვ ჩემო. 1998 წ. პორტო იდრა

ისაუბრეთ საჭიროველოში ყველაზე იაფად



მისამართი: თბილისი, მგზხანდრუს 44

www.tazamobile.com

tel: 210 522 2252 - 210 524 6600